ბრძანება

27 აგვისტო 2018 წ. თბილისი № 112/01

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანებით დამტკიცებული „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების“ 29-ე მუხლის და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაგისტრატურის შესახებ დებულების შესაბამისად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში 2018-2019 სასწავლო წლისათვის მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით,

ვბრძანებ:

1. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 29 აგვისტოდან 11 სექტემბრის ჩათვლით.
2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს თსსუ-ის სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სამსახურის უფროსს ნინო ვეფხვაძეს.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება დაეგზავნოს თსსუ–ის ვიცე-რექტორებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფარმაციის და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტების დეკანატებს.

პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი